№ 98. 13 მაისი, ოთხშაბათი. 1866 — 1881 13 მაისი, ოთხშაბათი. № 98.

**რედაქცია**

გალაკანის პროსპექტზეთ. ივ. შუხარინის სახლებ-ში ალუბის ქუჩაზეთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროებაზე“ „ეკონომიაზე“ რედაქციაზე, ქუთაისში „დროებაზ-ეკონომიის“ აგენტთან ი. ჭელიძისთან ხალაზე. გარეშე მცხოვრებთათვის Въ Тифлисъ, въ редакцію „Дрооба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

„დროებაზ“ და „ეკონომიაზ“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.

ცალკე { „დროებაზ“. . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„ეკონომიაზ“. . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

**ფასი განცხადებისა**

ერთ-ერთ ადგილებით ასოზე 1 კაპეიკი ერთ-ერთ ადგილებით ასოზე ნახევარ კაპ. „ეკონომიაზ“ ასოზე 3 კაპ. ასოზე შეოთხედი კაპ.

**ბეჭდვა**

თუ ხელოვნება მოითხოვს, რედაქცია გაიწერების და შეკვეთილების დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უფასოთ კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაზ“-„ეკონომიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებაზ“ დაჯ. 5 კაპ.

**სავაჭრო სახლი**

## ძმათა კ. და ს. პოპოვებისა

**მოსკოვში**

ამით აცხადებს, რომ მოკლე ხანში ზემოხსენებულ ფირმით თბილისში გაიხსნება კერძოდ და ნარდად ჩაით ვაჭრობა, ბოლოვინის პროსპექტზე, მარიმანოვის სახლებში, და ამით აცხადებენ საყოველთაო საცნობათ.

მაღაზიაში იქნება საუკეთესო ჩაი, ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ აწოდილი საკუთარს უმთავრეს მაღაზიაში, მოსკოვში. (6—3)

## ტელეგრამები

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

**ძუთაისი**, 11 მაისს. დღეს, სხდომის დაწყებისა-თანავე ხელ-ახლად ამორჩეულმა ბანკის თავსმჯდომარემ ნ. ლოლაბერიძემ მადლობა გამოუცხადა სახოგადოებას ამორჩევისათვის და თან გამოაცხადა, რომ ის ხელს-იღებს თავის ჯამაგირიდამ ხუთას მანეთზე. კრების უმრავლესობამ ტაშის-კვრით გამოუცხადა იმას მადლობა.

ზედამხედველ კამიტეტიდამ წიდისურით გამოვიდნენ ალ. ფიფინაშვილი და დავ. აბდუშელიშვილი; ამათ გარდა თავის ნებით გამოვიდნენ კირილე და ანტონ ლორთქიფანიძეები. ამათ მაგივრად ზედამხედველ კამიტეტის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: იოანე მესხი, მიხ. გეგიძე და ალ. ფიფინაშვილი ერთ-ხმად.

ამის შემდეგ, დღეს გათავდა ეს ხანგრძლივი, მღელვარე და აყალ-მაყალის სხდომა.

(„ხალხოსნობის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 11 მაისს. დღეს სპარსეთის ელჩი თავის ამალით წავიდა მოსკოვში, აქედამ ნიჟნი ნოვგოროდში, ასტრახანში და ტეირანში.

**პეტერბურღის ბირჟა**, 11 მაისს.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთები: | | |
| პირველი გამოცემისა — | 96 — | 75 |
| მეორესი — — — — | 93 — | 87 |
| მესამესი — — — — | 93 — | 25 |
| მეოთხესი — — — | 94 — | |
| ალმოსავლეთის პირვ. — | 92 — | 75 |
| ალმოსავლეთის მეორე | 92 — | 75 |
| ალმოსავლეთის მესამე | 93 — | |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 8 — | 10 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 223 — | 50 |
| მეორე სესხის — — — | 216 — | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 24 — | 12 პენსი |
| ბერლინი — — | 208 — | 50 პფენიგი |
| ამბურღი — — | 206 — | 25 ცენტი |
| პარიჟი — — — | 256 — | 25 სანტიმი |
| ავკასიის კერასინი — — | — | |

### ძუთაისის ამორჩევების წესები

ტფილისი, 12 მაისს.

ოც-და-ათს გაელილ აპრილს დაიწყო კრება ძუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთა დას, როგორც დღეანდელ ნომერში დაბეჭდილის ტელეგრამიდამ გაიგებთ, გუშინ, 11-ს მაისს, გათავდა.

იმ კორრესპონდენციებიდან, რომელიც ამ ხნის განმავლობაში იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში, მკითხველი მიხვდებოდა—თუ რა სიცხოველე, რა სიცოცხლე, რა აყალ-მაყალი და გაცხარებული ბაასები ჰსუფევდა ამ კრებებზე. რამდენჯერმე საქმე იქამდინ მისულა, რომ მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენელნი ხანჯლით მიწეულან ერთმანეთზე. ეგირილი, ხმაურობა, ხრიალი, ხშირად ერთმანეთის უშვერის სიტყვით მოხსენება—ძუთაისის კრებებზე ჩვეულებრივი საქმეა ხოლმე და ამ ვვარები არც წელს ყოფილა ნაკლებად.

ლანძღვა-გინებისა და ხანჯლების ტრიალის რა მოგახსენოთ—და სხვა მხრით, თავის სიცხარით, გულ-მხურვალებით, გულ-მოდგინებით კი ძუთაისის კრებები, კვლავაც გვითქვამს, მოსაწონია. მოსაწონია განსაკუთრებით თფილისის კრებებთან შედარებით, სადაც ამგვარს კრებებზე თავადაზნაურს ძალათ თუ მოათრევენ, თორემ თავის ნებით არავინ მოვა, სადაც საზოგადო საქმეების განხილვის დროს არავითარი გულ-მხურვალობა, არავითარი ინტერესი და სიცოცხლე არ ეტყობათ; სადაც თითქო ძალა-უნებურად ამბობენ ორიოდე სიტყვას და ერევიან საზოგადო საქმეში; სადაც თითქო ტვინის განძრევა ეზარებათ, რომ სთქვან, მოისაზრონ და იფიქრონ რამე ისეთს საქმეებზე, რომელნიც პირ-და-პირ იმათა, იმათ შვილებსა და ქვეყანას შეეხება.

საუბედუროთ, ძუთაისის ამორჩევებს ბნელი ფარდა ეფარება. როდესაც წარმოვიდგენთ, რომ ამ ამორჩევებში და კენჭის-ყრაში ხშირად ისეთი მხარეები და წესებია, რომელნიც ყველასთვის სამწუხარო და შემარცხვენელი უნდა იყოს. საუბედუროთ, იმ გაცხარებას, სიმხურვალეს და თოთქო საზოგადო ინტერესს, რომელიც ერთის შეხედვით ძუთაისის კრებაში მოჩანს, ხშირად კერძო პიროვნული სარჩული უდევს, ხშირად თავმოყვარეობა აღელვებს და ჭრევს ხალხს, კიდევ უფრო ხშირად უმიზეზო მიდგომა, მოყვრობა, ნათესაობითი გრძნობა და სგვა ამ გვარი რამე, რომელსაც საზოგადო საქმეების განხილვის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ამგვარი ხასიათი იმერეთის ამორჩევებს პირველად მარშლების, თავადაზნაურთა წინამძღომელთ, არჩევის დროს მიეცა. მაშინ დაიწყეს მოქრთამეობა, მოსყიდვა კენჭოსნებისა და გავლენიან პირებისა; მაშინ დაიწყეს ცხენების, ნაბდების, მწეავრ-მეძებრების ჩუქება; მაშინ დაიწყეს „ლუკულლის“ სადილების გამართვა და „პატივის-ცემა“ მეკენჭეებისა, ნათლობა, მოყვრობა და სხვ. ამ სტრიქონების დამწერს თავის ყურით გაუგონია ძუთაისში ბანკის კრების თაობაზე ღარიბ აზნაურისაგან.

—თუ უნდა, რომ თეთრი ჩაუგდო, დახეული ჩოხა მაცვია: ახალი მიყიდოს, პატივი-მცეს და მეც პატივს-ვსცემ!...

ამას ისე ამბობდა, თითქო დასაძრახისი არა არის რაო, თითქო ეს ასე უნდა იყოსო, წესიაო.

სანამ მარშლების ამორჩევის დროს ჰსუფევდა ამგვარი წესები, მანამ კიდე ჰო, მაინცა-და-მაინც ბევრი არაფერი ფუჭდებოდა, რადგან ერთი მარშალი ამოერჩიათ, თუ მეორე, მაშინ თითქმის სულ ერთი იყო, არც-ერთს სარგრძნობელი სარგებლობისა და არც ვნების მოტანა არ შეეძლოთ ჩვენის ქვეყნისათვის.

მაგრამ, სამწუხაროთ, ამგვარი გამრყვნელი წესები ბანკის არჩევნებშიაც შემოიღეს და აქ კი დროა სიტყვა ამოიღოს კაცმა.

ერთი უმთავრესთაგანი მიზეზი, რომელიც ჩვენ გვაშორებს ესრედ-წოდებულ ლოლაბერიძეების პარტიას, ის გახლავს, რომ იმათ თითქო აკურთხეს ის საძაგელი წესები, რომელნიც ადრე ჰსუფევდნენ იმერეთში კენჭის-ყრის დროს. იმათაც იმგვარისავე მოყვრობით, სხვა-და-სხვა გვარ მოსყიდვით, ნათლიობით, გაიძვერობით, ეშმაკობით და ხერხებით დაიწყეს მომხრეებისა და კენჭის შეძენა, როგორც ადრე მარშლები იძენდნენ. არავითარ საშუალებას, არავითარ ლონის-ძიებას არ ზოგავენ, ოღონდ კი თავის მოწინააღმდეგე დაამარცხონ, მომეტებული კენჭი შეიძინონ და თვითონ გაიტანონ.

ძუთაისში ყველამ იცის და ეს არც არავის უკვირს, რომ მომეტებული ნაწილი მეკენჭეებისა, როცა ძუთაისში ჩამოდიან ხოლმე ამორჩევების დროს, კანდიდატების ხარჯით სცხოვრებენ თუ სასტუმროებში და თუ სხვაგან; ყველამ იცის, რომ ამ მეკენჭეების წასვლის შემდეგ, იმათ დანახარჯის ანგარიშს სასტუმროს პატრონები კანდიდატებს წარუდგენენ ხოლმე და ამათგან იღებენ ფულს.

—შენთვის ჩამოესულვარ, თეთრი უნდა ჩაგიგდო, და ჩემი ფული რად უნდა დავხარჯოვო! ასე სჯის, ამნაირის ლოღიკით ლაპარაკობს იმერეთის თავადი და აზნაური.

თითქმის დამტკიცებულად ჩითვლება ის გარემოება, რომელიც შარშანწინდელ კენჭის ყრის დროს გამოაშკარავდა: დ. ბაქრაძემ რომ ფალავებს ხუთასი მანეთი ქრთამი შეაძლია. დარწმუნებით ამბობენ, რომ წელს ამ პატივცემულმა გვამმა უკანასკნელი სამასი თუმანი მაინც დახარჯაო. (ამ ბრით, ბ-ნი დავ. ბაქრაძე, თუმცა ლოლაბერიძის მოპირ-და-პირ, კანდიდატი იყო, მაგრამ ლოლაბერიძის დასის ხასიათის ხალხში ჩითვლება).

ნამდვილად არავის შეუძლიან თქმა მაგრამ ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ის შეურაცხყოფა, რომელიც ეიღაც დედა-კაცმა მიაყენა დ. ბაქრაძეს კრების ოთახში, ლოლაბერიძეების ოინი და მოხერხება არისო, რადგან ეს შეურაცხყოფა და შერცხვენა თავიანთ მოპირ-და-პირესი მარტო იმათთვის იყო სასარგებლოო და რადგან ეს შემთხვევა სწორეთ კენჭის-ყრის დაწყების წინ მოხდაო.

და რამდენი სხვა ამისთანა საძაგელი, საზოგადოების გამრყვნელი და ამორჩევების ხასიათის გამფუჭებელი საქმეები ხდება, რომლის ჩამოთვლა აქ უადგილოთ მიგვაჩნია!

თუ დღემდინ დასაძრახისი და სამწუხარო იყო ამ გვარი ხასიათი იმერეთის ამორჩევებისა, დღეს ეს კიდევ უფრო დასაძრახისი და სამწუხარო უნდა იყოს. შეეფეველია, დღეს-ხვალ ჩვენ ერობის შემოღებას უნდა მოველოდეთ, უნდა მოველოდეთ იქნება სხვა რამე ახალ დაწესებულებასაც, და ერთსა და მეორე შემთხვევაშიაც საზოგადოებას მიენიჭება უფრო მომეტებული ხმა და უფლება, ვიდრე დღესა აქვს; საზოგადოებას მიენიჭება უფლება თავის წარმომადგენლებს საშუალობით განიგოს უფრო მძიმე

და საერო საქმეები, ეიდრე საადგილმამულო ბანკია. და მაშინ, მითხარით, რა გვარათ დამზადებული დახვდება იმას ჩვენი თავად-აზნაურობა? როგორ კაცებს ამოარჩევს ის? რითი იხელმძღვანელებს ამ თავის წარმომადგენლების ამორჩევის დროს? ვინ იქნება იმის წინამძღოლი, იმის გზის მაჩვენებელი? ვის მიანდობს თავის საერო საქმეების გამგეობას?

ჩვენ გვეშინია, რომ ახლანდელი გაფუჭებული და გარყვნილი ხასიათი კენჭის-ყრისა მაშინდელ კენჭის-ყრასაც არ გადაედოს. ვეშინიან, რომ მოქრთამეობას, მისყიდვას და „პატივისცემას“ შეჩვეული საზოგადოება, მაშინაც ამას მოითხოვს კანდიდატებისაგან, მაშინაც ამ გვარ წესზე წაიყვანს ამორჩევებს და იმას მისცემს უპირატესობას, ვინც უფრო მომეტებულს ქრთამს მისცემს და პატივსასცემს, ვინც უფრო ტკბილად გაუკრიჭებს და ლმობიერ სიტყვას ეტყვის. ვეშინიან—ვაი თუ გაიძვერაობას, ეშმაკობას, ნათლიობას და მოყვროობას მაშინაც არ მიეცეს ადგილი ისე, როგორც ახლა აქვს.

ეს არის რომ წამლავს ქუთაისის ახლანდელ ცოცხალ კენჭის-ყრას და ამორჩევებს. და თუ საზოგადოების მოწინავე პირებმა ამ გამრყვნელ ხასიათების ამოფხვრას არ მიაქციეს მთელი თავის ყურადღება, თუ ამომრჩეველთა და მეკენჭეთა არ ჩაგონეს, რომ როცა რომალსამე კანდიდატს თეთრს უგდებენ, ამ კანდიდატის საამებელად კი არ უნდა უგდებდნენ, არამედ საზოგადო საქმის კეთილად წარმატებისათვის; თუ რიგიან, პატიოსნურ, მოუსყიდველ კენჭისყრაცა და ამორჩევებს არ მიაჩვიეს საზოგადოება,—უეჭველია, რომ რაც უნდა ერობა და სხვა დაწესებულება მოგვენიჭოს, ვერც ერთითა და ვერც მეორეთი ჩვენი ხალხი ვერ ისარგებლებს, ერთსაცა-და-მეორესაც ბოროტად, მხოლოთ კერძო პირების სასარგებლოდ მოიხმარს.

და ეს იქნება ზარალი, დაღუპვა და დამჩაგვრელი მიზეზი მთელის ჩვენის ქვეყნისა...

შემდეგ სტატიაში ვილაპარაკებთ იმაზე—თუ რაგვარი კაცები და როგორის წესით უნდა ამოვარჩიოთ ხოლმე საზოგადო თანამდებობისათვის.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

—

წელს რუსეთის შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში იქნება კავკასიელებისათვის ვაკანსია:

პეტერბურღლის უნივერსიტეტში, ისტორიისა და ფილოლოგიის ფოკულტეტზე—1 ვაკანსია, მოსკოვის უნივ., საექიმო ფოკულ.—6, ფიზიკისა და მათემატიკის და იურიდიულ ფოკულტ.—3 და ოდესის უნივერსიტ., ყველა ფოკულტეტებზე—4;

პეტ. ისტორიკო-შილოლოგიის ინსტიტუტში—2; გზის ინჟინერების ინსტიტუტში—1; მთის ინსტიტუტში—1; პეტროვის სამეურნეო და ტყის აკადემიაში—3; კონსტანტინოვის გამიჟვნის ინსტიტუტში—3; მოსკოვის ტეხნიკურ სასწავლებელში—2 და აღმოსაველეთ ენების ლაზარევის ინსტიტუტში—3.

* * *

რკინის გზით ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ იმ საშინელ წვიმას, რომელიც გავლილ კვირას, 10 მაისს, იყო, ზორს და ზრაკალის სტანციებს შუა, ხიდთან, ისე გაეფუჭებია გზა, რომ რკინის გზის მატარებელი შეჩერებულა და ხალხი დაწყობილ ფიცრებზე გაუყვანიათ რის ვაი-ვაგლახით. ამის გამო რკინის გზის მატარებელმა გუშინ და გუშინწინ რამდენიმე საათით დაიგვიანა.

* * *

კვირასვე, წვიმისაგან ადიდებულ მტკვარს წაუღია ზორის ახალი „კოზლების“ ხიდი და თქვენ წარმოიდგენთ ამ უბედურ ქალაქის მცხოვრებნი რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ...

* * *

ზანჯიდამ იწერებიან, რომ ნუხის მაზრაში ხალხს სრულიად გაუწყეტია კალია და ამის გამო ადგილობრივ ადმინისტრაციას დაუთხოვნია მუშები.

* * *

ქუთაისიდამ გეწერენ თფილისის ქართულ დრამმატიულ ტრუპპის წარმოდგენების შესახებ:

„ეს მეორეთ არის გვესტუმრა ქუთაისში ქალაქიდამ ქართული დრამმატიული ტრუპპა და აგერ ათი დღეა, რაც მუდამ დღე მართავს წარმოდგენებს. მაგრამ ამ ჯერობით წარმოდგენები ისე უხეიროდ, გულ-აცრუებით მიჰყავსთ, რომ უმჯობესი იყო არ ჩამოსულიყო და სახელი არ გაეტეხა.

„ამ შაბათს, სხვათა შორის, ითამაშეს „ჯინტო.“ მაგრამ სრულებით ის „ჯინტო“ როდი ითამაშეს, რომელიც თ. აკაკი წერეთლისაგან არის დაწერილი, არამედ სხვა თავისგნით შეთხზული! მისაც რა მოადგებოდა ენაზე, იმას ამბობდა და მასხრობდა. საზოგადოება ძალიან უკმაყოფილოდ დარჩა. ამბობენ, ავტორი შევიდა კულისებში, გამოართვა თავის პიესა, დახია და უთხრაო: ჩემი პიესა რად გინდათ, თქვენ უამისოთაც კარგათ თამაშობთო!

„ბოროტი ენები ამბობენ, რომ რეჟისსორი ტრუპპისა დღე და ღამ კენჭის-ყრის აგიტაციას უნდებოდა, ტრუპპა უპატრონოთ დარჩა და წარმოდგენებიც იმიტომ მიდიოდა ასე სუსტად და უხეიროთაო.

„საქმე იქამდინ მოვიდა, რომ ვინც ერთხელ წავიდოდა თეატრში, მეორე ჯერ თოკითაც ველარ შეათრევდი. მაგრამ ახალ-ახალი ხალხი მაინც ბევრი დადიოდა ასე, რომ შემოსაველის მხრით ტრუპპა ვერ იჩივლებს—ჩვენს აქაურ და მოსულ საზოგადოებაზე და საზოგადოებას კი სრული უფლება აქვს უკმაყოფილება გამოუცხადოს ტრუპპ:ს...“

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ.

### I

**ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ, 29 აპრილს.** წრეულს თითქმის მთელი სვანეთი დაიმშა. ცუდათ არის ამ ხალხის საქმე. რა მხარეს უნდა მიმართონ? გზა არსაით აქვსთ ივლისის თვემდინ, საცხენო გზები არ საიდამ არ ეხსნებათ და მანამდინ სულ ზურგით უნდა ზიდონ, თუ კი რამე იშოვნეს.

თოვლიც გვარიანათ გვეწვია უფრო საადიანო სვანეთში, სადაც ზვავებმა მიაქც-მოაქციეს და დალეწეს გზები ასე, რომ ერთმა ზვავმა ოთხ დღე-და-ღამეს გაარერა—გაგუბა მდინარე ცხენის-წყალი.—

წასრულ მარტის თვეში დაიწვა ორი მოსახლე მულახის საზოგადოებაში; რომლებიც ძრიელ საწყლათ დარჩნენ; ასე რომ ძლივს ცოტა რამე გადაარჩინეს. მართალია, ამ ნაირი შემთხვევა სვანეთში ძრიელ იშვიათად ხდება, მაგრამ თუ კი მოხდა, მისი შველა ძნელია. წყლით ვერას უშველი ორ ეტაჟიან სახლს, რადგან დარბაზი, ზედა-ეტაჟაა და მუდამ არის საავზე თიეთ.

ხევის თავებმაც თუმცა მოსპეს ჩვენში ქურდობა, მაგრამ მეორეს მხრით ძრიელ შეგვაწუხეს და წაახდინეს ბევრი საქმე. ერთს საზოგადოებაში არის ამორჩეული 17 ხევისთავი. ესენი რომ მიელენ დამნაშავის სახლში, რასაკვირველია, არაყით, ხორცით და პურით უნდა გაძღენ. ეთქვათ ამ მოსახლემ მოიპარა ძროხა, ერთი ძროხის ფასს თითონ შესჭამენ, ხუთი ძროხის ფასს გადაახდეინებენ, ძროხის პატრონს ორ ძროხის ფასს მისცემენ და სხვას თითონ დაიტოვებენ.

სწარმოებს საქმე მომრიგებელ მოსამართლესთან ანუ ოლქის სასამართლოში, ანუ სოფლის სასამართლოში, ხევისთავებისთვის სულ ერთია, მაინც თავისას არ იშლიან. არ დაეძებენ მას—თუ სასამართლოში როგორ გათავდება საქმე: ათის წლის საქმესაც ხელს ჰკიდებენ, ასე რომ ახლა ეს ხევისთავები ჩვენში შეიქნენ ყველა სასამართლოებზედ უმთავრესნი.

ყველგან სკოლა, ყველგან სწავლა და სვანეთში არა. მთელს სვანეთში ერთი უბრალო სასოფლო სკოლა არ არის, თუმცა ახლა მაინც არის საშუალება, რომ დაფუძნდეს პატარა სკოლა მაინც იმ ოთხი ათას მანეთით, რომელიც სვანეთის სკოლისათვის ანდერძით დასტოვა ვანსვენებულმა ექიმმა რეიხმა. მაგრამ არავინ დაგვეძებს.

ერთს ადგილას, ზვალდას მთებში, მესტოის და მულახის საზოგადოებათ შუა გაუდნობელ ყინულის ძირში, როგორც დამაჯერეს ბევრმა სვანებმა, ენახავთ რალაც მადანის ნამუშევარი, რალაც ეყარა ბევრი ურიები, კეტები და სხვა. სჩანს, რომ აქ ჩვენი ძველი „ქართულთ კეისარნი“, როგორც იტყვიან სვანები, პოულობდნენ რაიმე ძვირფას მადნეულს. მაგრამ დროზედ ამ ადგილს არავინ მიაქცია ყურადღება და ყინულმა დაჰფარა სამუდამოთ.

ამავე ადგილის მახლობლათ იპოვება გოგირდი, რომელსაც ბევრი ძებნა არ უნდა, მაგრამ ხელ-უხლებელად რჩება.

მე დავესწარი ს. უვედრეშს (საადიანო სვანეთში) ახალ კვირას წირვაზე. მოგახსენებთ, რომ კარგი მხნე მღვდელი კი ჰყოლიათ! მომეტებულის მოხუცებლობისაგან კანკალებს და ლაპარაკიც ეშლება. იმას არც დიაკვანი ეჭვირება და არც სტაროსტა; მარტო თითონ ასრულებს სამღთო ლიტურღიას. და იხსენიებს იმ მღვდელ მთავარს, რომელიც მის დიაკვნობაში ცოცხალი ყოფილა და იმ მეფეს, რომელსაც თითონ იცნობდა თავის სიყმაწვილის დროს. ერთს კაცს ჩემთან ატუზებულს ეკლესიაში ეკითხე-თუ ეგრე როგორ შეიძლება წირვა-მეთქი, და მან მითხრა, რომ ასე დასჯილი შეეიქნენით ღვთისაგანო და რა ექნათო? თუ რამე უთხარით, გვეტყვის, რომ ჩემგან უბრალო დალოცვაც ეყოფა კაცსაო.

დ. დ.

### II

**ᲣᲣᲑᲐ, 27 აპრილს.** კავკასის აქეთა მხარეს ვგონებ არც ერთ მაზრაში ავაზაკობა, ქურდობა და კაცის-კელა ისე არ არის გავრცელებული, როგორც უუბის მაზრაში. ამას გვიმტკიცებს ის, რომ ბაქოს მაზრის მსაჯულებს მარტო უუბის მაზრის საქმეების განხილვაში უნდებათ იმდენივე დრო, რამდენიც ბაქოს, ლენქორანი და დერბენდის მაზრების საქმეების განხილვისათვის.

აქამდისინ უუბაში იყო ერთი სატუსაღო, რომელშიაც არადროს არ ყოფილა 150-ზე ნაკლები ტუსაღი. უკანასკნელ დროს ტუსაღების რიცხვმა ისე იმრავლა, რომ მთავრობა იძულებული გახდა გაეხსნა მეორე საპყრობილე. ასე რომ ამ ჟამად ამ პატარა ქალაქში ორი საპყრობილეა და ერთიც სატუსაღო საავათმყოფო, ორი საპყრობილო, ერთი სკოლა; 300 ტუსაღი, 25 შეგირდი?.

დღეს, 27 აპრილს, ერთ საპყრობილიდამ გაიქცა 56 ტუსაღი, რომლებიდამაც 24 იმსხვერპლა და დანარჩენ 32 კაცმა კი თავი შეიფარა ტყეში. ჩვეულებისამებრ შუადღისას რამდენიმე სალდათს გაულიათ სამ ოთახის (კამერის) კარები იქ მყოფ ტუსაღებისათვის ხორაგის მისაწვდენელათ. ერთბაშად სამი ოთახიდამვე გამოცვინდებიან ტუსაღები და წინათვე დამზადებულ იარაღებით (ყველას მუშტის-ტოლა ქვა გამოუკრავს პერანგის კალთაში, რომელიც დაუგრეხიათ და თოკით დაუხვევიათ ისე, რომ შეიძლებოდა ერთ თავით დაეჭირა ხელში კაცს და მეორე ქვიან თავით სცემოს), ისე თხლეშენ სალდათებს თავში, რომ გარეტიანდებიან და დაეცემიან მიწაზედ, სხვათა შორის მებარაბანეც. მაშინვე ტუსაღები გა-

მოგლეჯენ ხელიდამ სალდათებს გასალებებს, გაალებენ სხვა ოთახებსაც და გამოუშვებენ თავიანთ ამხანაგებსაც, სულ 56 კაცს. ერთი ნაწილი ამათგან მივარდება ყარაულების ოთახს, იქ მყოფ სალდათებს დაუწყებენ ცემას; წაართმევენ სამ თოფ. ამ დროს ტუსაღების მეორე ნაწილი გააღებს ეზოს კარებს, რომელიც გალავნით შემორტყმულია, და გასცვივიან გარეთ სუყველანი. ზოგი წაყრის ფეხებიდამ ბორკილებს, ზოგი მარტო ერთ ფეხიდამ წაიყრის, გამოიჩეჩობს სარტყელში და გაიქცევიან.

ადგილობრივ კამანდის ყაზარმა 1½ ვერსზედ მოშორებულია ამ საპყრობილიდამ ვინემ კამანდა გაიგებდა და მოვიდოდა, ზოგი უბორკილო ტუსაღები ტყეში შეცვივდებიან; სალდათებმა მაინც სკმაოთ დახოცეს გზაზედ და ტყეში: 19 დახვრიტეს, 5 დაიჭირეს, 32 კი გადარჩა ტყვიას და სალდათების ხელიდამ, რომლებიც 2-3 ტყვიით არა კმაყოფილდებიან, 6-8-ჯერ ესვრიან. ტუსაღებმა 20 სალდათი დასჭრეს თავიანთ მოგონებულ იარაღით, უმეტესი ნაწილი თავში.

აქამდისინ დიდი შიში იყო აქ გზებზედ; ახლა კი, როცა ძველ ავაზაკებს ოც-და-თორმეტი კიდევ მოემატა, მარტო ღმერთმა უწყის—რას უნდა მოველოდეთ ამ მაზრაში...

ხ—შვილი.

*P. S.* ნახევარ დღეს არ გაუელია რაც ეს წერილი დავწერე, მოგვიტანეს ამბავი, რომ ქუსართან (უუბიდამ 12 ვერსი) გაუცარცვიათ შურიდამ მომავალი შერვანის პოლკის კამანდირი. პოლკოვნიკს, როცა მოსულა ქუსარში, გაუგზავნია სალდათები გარშემოურტყვინებია ის ტყე, რომლის ახლოც იგი გაუცარცვავთ და სალდათებს, როგორც ამბობენ, დაუჭერიათ სამი ავაზაკი.

ხ—შვილი.

## წერილები რედაქტორთან.

### I

ბატონო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთ „დროებაში“ წაიკითხეთ წერილი ბ-ნი **რ. ჯაჯანაშვილისა**, ქრისტიანების ალმადგინებელ სკოლების შესახებ. ავტორი სწერს, თუმცა ამ უკანასკნელ დროებაში სასოფლო სკოლებზედ დაიწყეს წერა, მაგრამ არავის უწერია ისინი ისე დაწერილებით, რომ წამკითხველ საზოგადოებას შეეძლოს მათი დაფასებაო, ოფიციალური ანგარიშები ამ სკოლებისა ყველაფერში სარწმუნო არიან; წერილებიც, რომლებიც გვეძღვნეს ხერთვისის და ტოლოშის სკოლის მასწავლებლებმა, არას გვიმტკიცებენო გარდა ტრაბახისაო.

ამისათვის საჭიროდ ვრაცხ მოკლეთ მოგახსენოთ მიზეზი — რა აზრითაც რაცხს ავტორი ჩემ წერილსა ტრაბახით და სკოლების საქმის წინწაუსვლელობას:

როდესაც ამ ოთხი წლის წინათ ბ-ნი ჯაჯანაშვილი გამწესებული იყო ხერთვისში მასწავლებლად, იმ დროს ეს წარმატება და დაფასება სკოლებისა არ ჰქონდათ იმ მიზეზით, რომ იმ დროს სკოლები მაგ. ხერთვისისა, იყვნენ ახალი დაწესებულნი, რისთვისაც ჯავახეთის მცხოვრებნი სულ სხვა აზრზედ იდგნენ და რაღაც შფოთში იყვნენ, თითქო სკოლებიდგან მოელოდნენ რაიმე უბედურობასა.

ამის გამოისათ ყმაწვილებს ნაკლებ აძლევდნენ სასწავლებლებში და სკოლებს უყურებდნენ ორგულათ.

მეორე უმეტესი მიზეზი იყო ის, რომ ბ-მა ჯაჯანაშვილმა არ იცოდა თათრული ენა და მას კი უნდა ესწავლებინა თათრების ყმაწვილებისათვის, რომლებიც ქართველების ტომის ჩამომავალნი არიან, მაგრამ ქართული ენა არ ესმით; თათრები ახალს სკოლებში ეგრე ადვილათ რათ მიიყვანდნენ ყმაწვილებს, რადგან მათი აზრით, ვითომ რჯული უშლიდეს ქრისტიანების სკოლებში სწავლასა და თუმცა მიიყვანდნენ, მასწავლებელი მათ რომელ ენაზედ დაელაპარაკებოდა?

ავტორი ამბობს, მიზეზათ საზოგადოების სკოლების სისუსტისა არის ადგილობრივი მთავრობის უყურადღებლობაო. სულაც არა: გლეხებმა შვილებს უნდა ასწავლონ ნება-ყოფლობით და არა ძალით. მთავრობის ძალდატანება შეიძლება მაშინ, როდესაც საზოგადოებას აქვს ხელ-მოწერილი ვალდებულობაზედ რომ ყველამ შვილებს უეჭველათ უნდა ასწავლონ და რადგანაც აქ სკოლებში სწავლა მიდის ნება-ყოფლობით და არა ძალდატანებით მთავრობას ამაში რა ბრალი აქვს? ვგონებ უკეთესი იყოს, შთაგონების, სარგებლობის დამტკიცებით და კეთილი სიტყვის შემწეობით მოიგოს კაცმა მდაბიო ხალხი და მით სკოლაც შეაყვაროს. აი ამაზედ ნამდვილი მაგალითი:

როცა აწ განსვენებული ბეს. ღოლაბერიძე,—რომლის მეცადინეობით დაგვირგვინდნენ ჩვენში სკოლები,—დანიშნეს, ის მოვიდა, დაიარა მთელი ჯავახეთი და, რომელ სოფელშიაც მოვიდოდა, შეაგროვებდა ხალხსა და ტკბილის ენით სკოლის გაშენებას და ბოვშვების აღზრდას ურჩევდა. ხალხი თუმცა უარს იდგა პირველათ, მაგრამ როცა აუხსნა სკოლის მნიშვნელობა და განუმარტა მათგან მომავალი სარგებლობა, მაშინ გამოაცხადა ხალხმა თანახმობა და ეხლაც ჩვენმა სკოლებმა ამ მაგალითით დაიმსახურეს და მიიზიდეს ხალხი, რომელშიაც აღძრულია ისეთი სურვილი, რომ ეხლა ახალ-ქალაქის მაზრაში იხსნება 9 ახალი სასწავლებელი და დაბა ხერთვისში, აწ მყოფ სკოლის გარდა, ხსნიან ქალების სასწავლებელსაც, თუმცა აქ სულ თათრები არიან. და ყველა ამ სკოლებს ხალხი თავის ხარჯით ხსნის.

მასწ. ტ ხმაჯაძე.

დაბა ხერთვისი, 3 მაისს.

### II

ბ. რედაქტორო! ხუთიოდე წლის წინედ ხერთვისის ცხოვრებში დარღვეულ მახარებლის ეკკლესიასთან ენახე ეკკლესიის ზედ-წარწერა ხუცურად ორ არშინზედ მეტ მოვრცე ქვაზედა, რომელიც უკვე დიბეჭდი ამას წინად გაზეთს „დროების“ ფელტონში.

ამ გაელილ დიდ-მარხვაში მოიმიხდა გზა და კიდევ გავიარე ხერთვისის ცხოვრებში იმ ძეგლ-წერილის სანახავად. მაგრამ, ჩემ-და სამწუხაროდ, აღარ დამხვდა იქ მე ისა! მაშინვე ჩამოვედ გულ-დამწვარი და მივმართე სამამასახლისო კანცელარიასა. მარტო მწერალი დამხვდა და მამასახლისი კი არა; თუმც ვაძებნინე ბაზარში, მაგრამ ვერ იპოვნეს. მის გამო მიეეც განცხადება კანცელარიაში იმ ქვის წაღებაზედ, რომ მოეძებნათ და არ დაკარგულიყო მისთანა მარად სახსოვარი ძეგლ-წერილი ჩვენ გამოჩენილ წინაპართა.

როგორც შევიტყე კერძო პირთაგან, პირველში ეწინააღმდეგათ ჩემ მიცემულ ქაღალდზედა; გარნა რა მწერალს ეჩვენებინა სიმართლის ფაქტად მისი იმპერატორებითის უმაღლესობის მთავარმმართველის ბრძანება შესახებ ძველის-ძველ შენობაების შეუხებლობაზედა, მეტადრე ნაეკკლესიებთა, მაშინ კი შესცხელებოდათ ყურები, მოუძებნიათ და უპოვიათ, რომელიც მათ მეზობელსვე ჩამოუტანია და სახლის შენობაზედ სანათურების საკიდურად მოუხმარებია. როგორც მითხრა ბ. ბ. ხმალაძემ, სამი სტრიქონი კიდევ ატყვია წარწერილობისაო.

ეს თუ რაოდენადაც მართალია, შემდგომ გაცნობებთ უფრო დაწერილებით; მაგრამ კი უნდა მოგახსენოთ, ამისთანა ჩვენ წინაპართ დიდის ჭირნახულობით ჩვენთვის დატოვებული ძვირფასი ძეგლ-წერილები დღითგან დღეზედ გვაკლდება, გვეცლება ხელითგან უწყალო დროების მუხთლობითა; ყურის-მგდებელი, მზრუნველი და პატრონი კი არავინ არა გვყავს.

ნეტა რას არიგებს ჩვენი ძაეკასიის არხეოლოგიური წრე? ამისთანა ძველი და ჩინებული შენობაების მოთავობა და ზედამხედველობა, მგონი, რომ იმათ მიუცილებელს მოვალეობას უნდა შეადგენდეს. სად არიან, რას არიგებენ და რა, მიმართულებას ადგიან—კაცმა არ იცის!

ბაელილ წელს იყო, როგორც გაცნობეთ, ოცხის ნაეკკლესიარს იატაკ შუა თლილის ქვით ამოყვანილი წმიდანთ ლუსკუმა ასტეხეს ნაღმითა ბერძნებმა. შიგ მდებარე ნაწილები გაუჩინარეს და ძვირფასი შიგ ნაპოვნი ნივთეულობანი დაღუპეს უპატრონობით. ეს ლუსკუმა წმ. მოწამე მიხეილ ბობრონისა უნდა ყოფილიყო, რომელიც აწამა აბულ-ქასიმმა შემდგომ მისი 133 მეცხოვნე მოწამეების თავის მოკვეთისა, რომელნიც იცავდნენ ფოცხოვის ციხესა!

როგორც იმერეთში მოწამეთა დებული ნაწილნი დაეთხა და ოსტანდინისა განთქმულია დღემდის მომლოცველთ მიხედვითა, ისე სამესხეთს, ოცხე განთქმული იყო ამ მიხეილ-ბობრონის ნაწილთ მთხეევითა, ეს და ამისთანები შურითა ქართველთა გამოკლებულია ქართლის ცხოვრებითგან, რომელზედაც შემდეგში უფრო ვრცლად მექმნება შემთხვევა საუბრისა.

ახლა არის და ჩვენ ხერთვისს ასეთი საქმე მოხდა! აგრეთვე რომელთამე კერძო პირთ მითხრეს, რომ ხიზამბავრის ტყეში ყოფილი ჭაიტს ეკკლესიის მცირედი ზედ წარწერაც ვიღაცას წაუღია; ამაზედ ეწერა: ნიკოდიმ ორბელის-ძე სუტესთ სუტესი. ეს ადრე მონასტრად ყოფილა ქოდიანის და ნახევარ ჯავახეთის მცხოვრებთა: ქვეშ ეკკლესიისა ორი სართული სენაკებია ქვითკირით ამოტანილი, 8 თუ 9 და ზედა მესამე სართულად ერთ გვერდზედ ეკკლესია; იატაკი სრულ მინაქარის მწვანე ჩინურით ნაგები; აღსავლის კარს შუა სრულ ლიბრი მარმარილოს ძვლები და ოთხი ყურე კედელი სრულ მუზაიტის კენჭით ჩაწყობილი ხატები. ამ ათის წლით წინ ეს ნაშთი ჩვენ წინა-პართა კიდევ დამხვდა; ახლა სრულ გატიალებულა!...

ძლიერ კარგი და მადლიანი საქმე იქნება, ვისაც ჯერია, მიაქცევდნენ ყურადღებას ამისთანა ჩვენთვისს ძვირფასს ისტორიულ ნაშთემსა და გამოსცემდნენ ქართულად, რუსულად, თათრულად და სომხურად დაბეჭდილ რუკებსა; რომ სადაც შეინიშნოს ნაეკკლესიების თუ ნაციხართ ქვეები, დაარღვიონ და უთუოდ თავის ადგილსვე მიიტანონ. მაშინ ნახავთ თუ რამდენი არხეოლოგიური წყაროები აღმოჩნდება შთანთქმული უწყალოებისაგან!

ვინმე მესხი.

ხიზაბავრა, 2 მაისს.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** მინისტრების თავმჯდომარემ ფულ ფერრიმ 1 მაისს აცნობა სენატს ის პირობები, რომელიც საფრანგეთის წარმომადგენელს შეუკრავს თუნისის ბეისთან. აი ეს პირობები:

ფრაცუზის ჯარი დაიჭერს იმ სიმაგრეებს თუნისისას, რომელსაც სტრატეგიულის მხრით საჭიროდ დაინახავს საფრანგეთი; თუნისის ბეი ისევ მთავრად დარჩება და საფრანგეთი თავდებათ იქნება, რომ იმას არ გადაყენებენ ტახტიდამ; რაც თუნისის უცხო ქვეყნებთან სავაჭრო თუ სხვა პირობები აქეს შეკრული, ამ პირობების თავდებად საფრანგეთი იქნება; თუნისს არ ექნება უფლება, რომ საფრანგეთის დაუკითხავად რომელსამე სახელმწიფოსთან რაიმე პირობა შეჰკრას; ფინანსის საქმეს თუნისში საფ-

რანგეთი განაგებს ბეისთან დათანხმებით; ბეი თავდებია, რომ სამხედრო ხარჯს გარდაიხდიან იმ ტომის ხალხები, რომელნიც დაიმორჩილა ახლა საფრანგეთმა.

თითქმის ყველა ფრანცუზული გაზეთები კმაყოფილი არიან ამ პირობისა და აქებენ მთავრობის მოქმედებას, მწსრაფლად დამორჩილებას თუნისის აჯანყებულ ხალხებისას.

ბერმანიას, რუსეთს და ავსტრიას თანხმობა გამოუცხადებიათ საფრანგეთისა და თუნისის ბეის შორის ამ გვარ პირობის შეკერისა; მხოლოთ იტალია და ინგლის არიან ამის წინააღმდეგნი.


# განცხადებანი

გამოვიდა „დრო არის საძმეს შეუდგეთ“ თხზულება ქრისტეფორე მამაცაშვილისა და „ვაი მართალთა!“ თხზულება ანტონ ფურცელაძისა, რომელნიც ისყიდებიან: თბილისს, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში; ბორს მარიამ ქერესელიძის წიგნის მაღაზიაში, ძუთაისს ბერარდის წიგნის მაღაზიაში და თელავს ხორკლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი პირველისა აბაზი, მეორესი ექვსი შაური. (5—1)

ჩარკვიანის და ამხ.

## წიგნის მაღაზია

გადავიდა თ. მუსრანსკის სახლებში, ატამანის ქუჩაზე, საქართველოს გოსტინიცის პირდა-პირ № 15. 5—2

მიუხედავათ იმისა, რომ ბაკი მოიმატა, სამოსელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. ინგლისის მაღაზიაში. საგენტო ბარნსების უსაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიკის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვეულების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—61

დასყიდვის დროს ინგლისის მაღაზიაში იყიდება შარვლები 4 მან-დამ. თელი ტანთ-საცმელი 14 მან., ტრიკო და პარუსინა 75 შაურიდამ არშ. ახალი სისტემის თოფები 1 560 და 100 მან. რევოლვერები 4 მან.—40მ-დი ქუდები და შლაპები თითო მანეთად უნაგირები 3ა მ-დამ.; კონიაკი 1 ხარისხის 2 მან. ბოთლი, ძველი პორტკეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შამპანის ღვინო 3 მან. კამფეტები 35 კ-დამ გირვ.; შუკოლადი 1 მან. 20 კ. გირვ. და ჩაი უქაღალდოთ 1 მან 60 კ. უკეთესი მოსკოვი 2 მ. 20 კ-ნი. ქაღალდში.

იქვე მრავალი ტახტები, ფოდნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კლიონკა, საურველი, ჩოთქები, ჭურჭლები, სტაქნები, მურაბები, და 16. 30 პროცენტით იაფათ ვინემ სხვაგან. (15—14)

ინგლისის მაღაზიაში

## თბილისელ-ბაკელ-ბასტ-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საბონი, დუხები და სხვ.

(150—68)

# დაკვირვება

თხზულება

### დავით გურამის-შვილისა

(მეოთხე მწერლობა)

სრული გამოცემა თვით ავტორის ხელთ-ნაწერიდგან, გამოცემული გ. ზალიკანოვისაგან პ. უმიკაშვილის რედაქტორობით.

ფასი ერთი მანეთი.

ისყიდება: თფილისში ბ. ჩარკვიანის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ხიდზე და ბულვარზე „ევერიის“ თამბაქოს მაღაზიაში. ხელაძის სტამბაში და ძუთაისს ბერარდის წიგნის მაღაზიაში.

ვინც ასს წიგნს დაიბარებს თვით გამომცემლისგან, ნაღდს ფულზე დაეთმობათ 20%. ვინც ორმოცდათს—15%. ადრესი—სტამბა ხელაძისა. (5—4)

### გასაქირავებელი სადგომი

სამი და ორი ოთახი ცალ-ცალკე ანუ ერთად, თავის კუხნით და ყველა მოწყობილობით.

ბალავინის პროსპექტზე, ფოჩტის სტანციის პირ-და-პირ, მირზოევის სახლებში.

მსურველს შეუძლია იქვე იკითხოს. (5—5)

### ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიახტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე ჭიქების, შოკოლადის, ყავის, გემრიელი სუკრის ერბრ, სასურველებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—63)


## ანგარიში

კოშიო.

### რუსის გამსესხებელ-შეშნახველის ამხანაგობისა ერილობისაგან

### დამტკიცებული 1880 წლისა

1-ს იანვრისთვინ 1880 წლისთვის იმეოფებოდა:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წილის შემოსატანი 289 წევრისა — — — | 3,232 | 64 |
| სასარგებლოთ შემოტანილი — — — | 1,065 | 2 |
| ნასესხნი ფული — — | 2,600 | „ |
| სათადარიგო თანხაში — | 25 | 75¾ |
| წმინდა მოგება 1879 წლისა — — — | 349 | 77½ |
| სულ — | 7,273 | 19¼ |

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გასესხებული ამხანაგებში — — — — | 6,981 | 50 |
| ნაღდი ფული კასსაში — | 291 | 69¼ |
| სულ — | 7,273 | 19¼ |

1880 წელსა:

| შემოსავალი: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წილის ფული — — | 1,185 | 43 |
| სარგებელი დაჭერილი სესხების დროს — — | 1,270 | 80 |
| ჯარიმა — — — | 108 | 56 |
| დაბრუნებული ნასესხნი ამხანაგებისაგან — | 12,979 | 50 |
| სასარგებლოთ შემოტანილი — — — | 1,061 | 50 |
| ნასესხნი ფული — — | 7,865 | „ |
| სათადარიგო თანხაში — | 33 | 4 |
| სულ — | 24,503 | 83 |

| გასავალი: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წილის ფული დაბრუნებული — — — | 14 | 80 |
| მოგება წილზედ მისცემიათ — — — | 259 | 8½ |
| სესხათ მისცემიათ ამხანაგობას — — — | 16,011 | 50 |
| დაბრუნებიათ სარგებელი ვადაზედ წინათ გადახდილი — — — | 22 | 93 |
| სასარგებლოთ შემოტანილისა — — — | 1,143 | 50 |
| სარგებელი სასარგებლოთ შემოტანილისა | 42 | 92 |
| სესხი გადახდილი — | 6,100 | „ |
| სარგებელი სესხისა — | 220 | 67 |
| სამართველოს ჯამაგირი | 450 | „ |
| სხვა და სხვა ხარჯები — | 30 | 44 |
| აღებ-მიცემობისა — | 33 | 4 |
| სულ — | 24,328 | 88½ |

1-ს იანვარს 1881 წელსა იმეოფება:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წილის ფული 357 წევრისა — — — | 4,403 | 27 |
| შესანახავათ შემოტანილი — — — — | 983 | 2 |
| სესხათ აღებული — | 4,365 | „ |
| სათადარიგო თანხა — | 58 | 79¾ |
| წმინდა მოგება 1880 წლისა — — — | 670 | 5 |
| სულ | 10,480 | 13¾ |

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სესხათ მიცემული ამხანაგობაში — | 10,013 | 50 |
| ნაღდი ფული კასაში — | 466 | 63¾ |
| სულ | 10,480 | 13¾ |

თავს-მჯდომარე თ. ნ. დიასამიძე

წევრნი რჩევისა { გიორგი მამატოვი. ივანე კლიმიევი. გოგია გაგლაშვილი. დათუა მაქსწერაშვილი. გლახა ბეჟანაშვილი.

წევრნი მართველნი. { მისაელ კლიმიევი. სოსო მღებრიშვილი.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Маія 1881 г. Типографія С. Меликова. ბამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.